მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის განცხადება

ა.წ. 4 დეკემბრის ქადაგებაში უწმინდესმა განაცხადა, რომ "ქართველი ხალხი არ მიიღებს იმას, რაც მართლმადიდებლობას ეწინააღმდეგება". მართლმადიდებელთათვის ხანუქობა იმიტომ არის მიუღებელი, რომ, მართალია, იგი ისტორიულად მაკაბელთა გამარჯვებას უკავშირდება, მაგრამ დღეს-დღეობით, ებრაელთა სხვა დიდი დღესასწაულების მსგავსად, მომავალი მესიის მოლოდინს ეფუძნება, ანუ არსობრივად უარყოფს იესო ქრისტეს და, აქედან გამომდინარე, წარმოადგენს ანტიქრისტიანულ დღესასწაულს. თვით ის ფაქტი, რომ ამ დღესასწაულის დროს სინაგოგაში იმართება საკულტო რიტუალი, უკვე მოწმობს იმას, რომ ხანუქობა არის არა საერო, არამედ ებრაელთა რელიგიური დღესასწაული. შარშან იერუსალიმში ქართველთა ჯვრის მონასტრის კედლებზე გააკეთეს წარწერები: „იეშუ ბენ-ზონა" (იესო - მეძავის შვილი), „მაკაბელებმა გაიმარჯვეს", „გილოცავთ ხანუქას". მოკლე ებრაულ ენციკლოპედიაში აღნიშნულია (იხ. ტომი 5): „ჯვრის, როგორც ქრისტიანობის სიმბოლოს საპირწონედ, მენორა იუდაიზმის სიმბოლოდ იქცა".

„დიდი სჯულისკანონი" მკაცრად სჯის იუდეველებთან თანაქმედებას, რაც საგანგებოდ აღნიშნულია მოციქულთა 65-ე, 70-ე, 71-ე და 7-ე კანონებში, ასევე მე-6 მსოფლიო კრების 12-ე და ლაოდიკიის კრების 37-ე და 38-ე კანონებში. **<u>მოციქულთა 71-ე კანონი:</u>** უკუეთუ ვინმე ქრისტეანემან ზეთი მიიღოს ტაძარსა საწარმართოსა, ანუ შესაკრებელსა ჰურიათასა დღესასწაულთა მათთა, ანუ სანთელი აღანთოს, უზიარებელ იქმენინ.

ეკლესია ემიჯნება ნებისმიერ ძალადობას, მაგრამ პროვოცირებული პროტესტი რიგ შემთხვევებში არსით არის არა ძალადობა, არამედ - საკუთარი უფლებების, კერძოდ, ღირსებისა და სიწმინდეების დაცვის მცდელობა, უფლებისა, რომელიც სხვა ფუნდამენტურ უფლებებს შორის უმაღლესი და უპირველესია. ინციდენტთან დაკავშირებით კი უნდა აღინიშნოს, რომ ძალადობა სწორედ იქ იწყება, როდესაც იუდეველებს სინაგოგიდან თბილისის მთავარ მოედანზე გამოაქვთ მენორა, რადგან კარგად იციან, რომ საქართველოში ამას იესო ქრისტეს შეურაცხყოფად რაცხავენ. პროვოკაციულობაზე ისიც მიუთითებს, რომ ხანუქის საზოგადოებრივ ადგილებში გამართვა და მენორის დადგმა ეწინააღმდეგება ხანუქის გამართვის იუდეურ კანონებსაც, რომელიც ხანუქის სანთლების ანთების ნებას მხოლოდ ებრაელთა კერძო სახლებსა და სინაგოგებში იძლევა.

საქართველოში ანტისემიტიზმი არ არსებობს, არც მომხდარი ინციდენტი შეიცავს მას, რადგან პროტესტი არა ებრაელი ხალხის, არამედ რელიგიური შუღლის მაპროვოცირებელი მოვლენის წინააღმდეგ იყო მიმართული.

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ ერთა შორის ცივილური ურთიერთობა და მშვიდობა ემყარება თანასწორუფლებიანობას საერო კანონმდებლობის ფარგლებში, ასევე იმ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის რწმენისა და ეროვნული ფასეულობების პატივისცემას, რომელშიც ცხოვრობს ამა თუ იმ ეთნოსის წარმომადგენელი, მითუმეტეს ისეთი ქვეყნისა, როგორიც საქართველოა, რომელმაც არა მარტო შეიფარა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებში დევნული და ოტებული ხალხები, როგორიცაა ებრაელნი, სომეხნი თუ სხვანი, არამედ ძმური სიყვარულით გაათბო, გაუყო მიწა, სარჩო-საბადებელი, მისცა ცხოვრების, გამრავლებისა და განვითარების საშუალება. ამიტომ რომელიმე ეთნოსისა თუ რელიგიური ჯგუფის მხრიდან ქართველთა დადანაშაულება ქსენოფობიაში არის უმადურობა და ისტორიული დანაშაული არა მარტო ქართველთა მიმართ, არამედ საკუთარი ეთნოსის მიმართაც.

მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის სახელით
ა. უნგიაძე